საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-11/58

ქ. ბათუმი 26 აგვისტო 2014წ

სსიპ– ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2014წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 18 აგვისტოს №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბიუჯეტის შედგენის წესი"–ს მე–5 მუხლის მე–2 პუნქტის, ,,ბსუ–ს 2014 წლის წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 26 დეკემბერის # 4 გადაწყვეტილების, ბსუ–ს შესყიდვების სამსახურის უფროსის, გენად აბულაძის 2014 წლის 26აგვისტოს # 3801, მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მერაბ ხალვაშის 2014 წლის 22 აგვისტოს # 3770 და ბსუ–ს საფინანსო–ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის, გურამ გვარიშვილის 2014 წლის 26აგვისტოს # 3803 მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ბსუ-ს 2014 წლის ბიუჯეტში შეტანილი იქნეს ცვლილება, კერძოდ კი, ბიუჯეტის მუხლით – ,,ნაშთი წლის ბოლოსათვის"- განსაზღვრული დაფინანსება შემცირდეს 138 000 (ას ოცდათვრამეტი ათასი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს: მუხლით – „უნივერსიტეტის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები" განსაზღვრული დაფინანსება 60 000 (სამოცი ათასი) ლარით და მუხლი - ,,სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება" - 78 000 (სამოცდათვრამეტი ათასი) ლარით. საბოლოოდ კი, 2014 წლის ბიუჯეტის მუხლი „უნივერსიტეტის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები" განისაზღვროს 427 000 (ოთხას ოცდაშვიდი ათასი) ლარით, მუხლი „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება" – 264 500 (ორას სამოცდაოთხი ათას ხუთასი) ლარით. ხოლო მუხლი ,,ნაშთი წლის ბოლოსათვის" – 2 550 572 (ორი მილიონ ხუთას ორმოცდაათი ათას ხუთას სამოცდათორმეტი) ლარით,ბრძანების დანართი 1 -ის მიხედვით.
2. ამ ბრძანებით იხელმძღვანელონ ბსუ–ს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა.
3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ედიშერ ჩავლეიშვილი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2014 წლის ბიუჯეტი
დანახარჯები

ბსუ-ს ადმინისტრაციის
ხელმძღვანელის 2014 წლის 26
აგვისტოს № 01-11/58 ბრძანების
დანართი 1

№	დანახარჯის მუხლები	თანხა, ლარი
	1	
1	ხელფასი	10041163
	მ.შ.	
	წლიური ხელფასის ფონდი საშტატო განრიგის მიხედვით	8596163
	აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი ანაზღაურება	1000000
	შტატგარეშე და დროებით დაქირავებულ სპეციალისტთა შრომის ანაზღაურება	150000
	მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების და აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების შრომის ანაზღაურება	60000
	გრანტის სახელფასო ფონდი	220000
	საპრემიო ფონდი	15000
2	მივლინებები	130000
3	სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	1,767,700
	მ.შ.	
	ოფისის ხარჯები	900700
	წარმომადგენლობითი ხარჯები	50,000
	სამედიცინო ხარჯები	500
	სასწავლო და რბილი ინვენტარის და სხვა ინვენტარის შეძენის ხარჯები	50,000
	ტრანსპ-ისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	75000
	უნივერსიტეტის შენობის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები	427,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	264500
4	კაპიტალური ხარჯები	385,000
	მ.შ.	
	ლიტერატურის შეძენა	70,000
	კომპიუტერული ტექნიკის შეძენა	120,000
	რეაქტივები, ლაბორატორიული ან სხვა სასწავლო დანადგარების შეძენა	195,000
5	ემერიტუსი, სტიპენდია და სასწავლო-სოციალური პროგრამა	500000
	მ.შ.	
	ემერიტუსი	300000
	სტიპენდია	170000
	სასწავლო-სოციალური პროგრამა	30000
6	საგადასახადო ხარჯები	200000
7	ნაშთი წლის ბოლოსათვის	2,550,572.0
8	სულ დანახარჯები	15,574,435